



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: **ბ92.922222110**

თარიღი: **09/08/2022**

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" პუნქტის, "ე.ე", და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, "მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669-ე დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აგვისტოს Nგ-93.93222174 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილი, მდებარე ქ. ლაგოდეხი, ჯანელიძის ქ. N1-ში მდებარე (ს/კ 54.01.51.044) შენობის პირველი სართულზე-159.5 კვ.მ, ა(ა)ი.პირი შეზღუდული შესაძლებლობებისა და მზრუნველობა მოკლებულთა საზოგადოება- მაღლი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი -233146388) -2 (ორი) წლის ვადით.

საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის" 2022 წლის 08 აგვისტოს N06-922222078 მოხსენებითი ბარათი/.

მუხლი 2. ამ ბრძანების ფარგლებში, ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმის მომზადება დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურს“, ხოლო ხელშეკრულების გაფორმება და მასზე კონტროლის განხორციელება - „ეკონომიკის სამსახურს“;

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

